**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N3**

**5 დეკემბერი 2022 წელი**

მიმდინარე წლის 5 დეკემბერს, პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით  სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ საბჭოს წევრები, ცენტრის დირექტორის მოადგილე, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების "51 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად შეხვედრას თავმჯდომარეობდა რუსუდან სანაძე. საბჭოს სხდომა უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმნით. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ცენტრის დირექტორის მოადგილეები, ბატონი კახაბერ ერაძე და ბატონი ლაშა მარგიშვილი მიესალმნენ, მადლობა გადაუხადეს ჩართულობისთვის და მხარდაჭერისთვის. ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ შეხვედრაზე წარდგენილი იქნებოდა ცენტრისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა 2023 წლის სამოქმედო გეგმა, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტანდარტები და დროებითი წესის პროექტი, უმაღლესი განათლების მიმართულებით, ცვლილებები ავტორიზაციის დებულებაში და ცენტრის ფინანსური პარამეტრები 2023 წლისთვის.

დღის წესრიგის შესაბამისად, ლაშა ზივზივაძემ წარადგინა ცენტრის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი. მან აღნიშნა, რომ ცენტრმა სამოქმედო გეგმაზე მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში. პროცესში ჩართული იყო ცენტრის ყველა სტრუქტურული ერთეული. დოკუმენტში წარმოდგენილია ცენტრის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად აქტივობები, ინდიკატორებით, მტკიცებულებებით, შესრულების ვადებით, პასუხისმგებელი ერთეულებითა და რესურსებით. პროექტში წარმოდგენილია შვიდი სტრატეგიული მიზნის 100-მდე აქტივობა.

ლაშა ზივზივაძემ წარადგინა თითოეული სტრატეგიული მიზნის ძირითადი აქტივობები. კერძოდ, ცენტრის ინსტიტუციური განვითარების მიზნის ფარგლებში, 2023 წლისთვის ცენტრი გეგმავს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების სისტემის პილოტირებას და დანერგვას. ამასთან, ცენტრი იზრუნებს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე, კერძოდ, 2023 წლისთვის თანამშრომლები გადამზადდებიან კომუნიკაციის და კოორდინაციის მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებები შერჩეულ იქნა თანამშრომელთა კმაყოფილების კვლევის მიგნებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, მომავალი წლისთვის ცენტრი გეგმავს უცხოეთში სასწავლო ვიზიტის ორგანიზებას და ონლაინ კურსში თანამშრომელთა ჩართულობას.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით იგეგმება ცენტრის ბიზნესპროცესების გაციფრულება. ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს ბიზნესპროცესების აღწერას, ცენტრის ყველა სამსახურის ჩართულებით და მომდევნო წლისთვის აღწერილი პროცესები ელექტრონულად განთავსდება შესაბამის პორტალზე, რომელზე წვდომაც ექნება ცენტრის ყველა თანამშრომელს. ამასთან, შიდა ხარისხის განვითარების კუთხით, CAF-ის მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული შიდა ხარისხის სისტემის შემუშავებაა დაგეგმილი. თითოეულ სამსახურში, კითხვარების გამოყენებით ჩატარდება თვითშეფასება და გამოიკვეთება ძირითადი გამოწვევები და მათ

აღმოსაფხვრელად განხორციელდება პროექტები. ამასთან, შიდა აუდიტის ხარისხის შეფასების სისტემის დანერგვის და საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადობის მიზნით განხორციელდება ღონისძიებები. 2023 წლისთვის განათლების სისტემის განვითარების მიმართულებით მომზადდება განათლების ნარკვევები (POLICY BRIEFS), გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის. ცენტრი დაინტერესებულ მხარეებს მუდმივად აცნობს დაგეგმილ ცვლილებებს და ცენტრის საქმიანობას. ამ მიმართულებით, ადრეული და სკოლამდელი განათლებით და ზოგადი განათლებით დაინტერესებულ პირებთან ჩატარდება შეხვედრების ციკლი. ამასთან, პროფესიული განათლების სტუდენტებს წარუდგენს ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. მომდევნო წელს ჩატარდება ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია განათლების ხარისხის განვითარების მიმართულებით. მატერიალურ ტექნიკური ბაზის სრულყოფისთვის, ცენტრი გეგმავს სახანძრო უსაფრთხოების სისტემის და საგანგაშო სიგნალიზაციის დამონტაჟებას.

მეორე სტრატეგიული მიზნის ჭრილში, ლაშა ზივზივაძემ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია ცენტრის პრიორიტეტია. პირველი აქტივობა ამ მიზანში არის ENQA-ს და EQAR-ის წევრობისთვის თვითშეფასების მომზადება. მან განმარტა, რომ თვითშეფასება ხუთ წელიწადში ერთხელ ხდება და თვითშეფასების წარდგენის შემდგომ განხორციელდება ENQA-ს წარმომადგენლების ვიზიტი და წევრობის გაგრძელებასთან დაკავშირებით მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას. ამასთან, მომდევნო წელს ჩატარდება ENQA-ს ფორუმი საქართველოში, რომლის ორგანიზებასაც ახორციელებს ცენტრი. აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ცენტრის საერთაშორისო მასშტაბით ცნობადობის ამაღლების კუთხით უმნიშვნელოვანესია.

მომდევნო წელს იგეგმება მიკროკრედიტების დანერგვისა და აღიარების მიმართულებით საკანონმდებლო ბაზის განვითარების მიზნით თემატური ანალიზის განხორციელება. მომდევნო წლისთვის პროფესიული განათლების ხარისხის შეფასება განხორციელდება ევროპული ქსელის EQAVET-ის დამატებით ორი ინდიკატორის გამოყენებით. ბოლონიის პროცესის ფარგლებში, ცენტრი აგრძელებს აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა სამუშაო ჯგუფებში. მეტიც, მომავალ წელს იგეგმება კვალიფიკაციების განვითარების ექსპერტთა ჯგუფის მე-6 შეხვედრის ორგანიზება. გაგრძელდება მუშაობა დარგობრივი მახასიათებლების განახლება/განვითარების მიმართულებით.

მესამე მიზნის ფარგლებში, სერვისების განვითარების მიმართულებით, დაგეგმილია სხვადასხვა საერთაშორისო პრაქტიკების ანალიზების ჩატარება, მათ შორის ავტომატური აღიარების პრინციპების, აღიარების პროცედურების მსგავსებასა და განსხვავებაზე, დისტანციური ფორმით მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების მიმართულებებით. ცენტრი ყოველწლიურად იკვლევს სერვისების მიმართულებით მომხმარებელთა დამოკიდებულებას. ამ კუთხით მომავალ წელსაც ჩაატარებს კვლევას, გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირების მიზნით. აღინიშნა, რომ ცენტრი ორიენტირებულია მიწოდებული სერვისების განვითარებაზე. მომავალი წლისთვის არანაკლებ 5 სერვისის შეფასება იგეგმება.

მეოთხე მიზნის ფარგლებში, ზოგადი განათლების მიმართულებით ცენტრი გეგმავს განახორციელოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული სისტემის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც არანაკლებ 300 სკოლა გაივლის ავტორიზაციას მომდევნო წელს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგეგმება შესაძლებლობების გაძლიერება განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების თაობაზე. იგეგმება თვითშეფასების ინსტრუმენტების შემუშავება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ამასთან, იგეგმება ავტორიზაციის საბჭოს შესაძლებლობების გაძლიერება, ავტორიზაციის ექსპერტთა ფორმირება და მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

მეხუთე მიზნის ფარგლებში, პროფესიული განათლების მიმართულებით, ცენტრი გეგმავს შესაძლებლობების გაძლიერებას, პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებების/იურიდიული პირებისთვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის, პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოსთვის. 2023 წელს ჩატარდება წლიური კონფერენცია ექსპერტებისთვის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამასთან მომდევნო წელს იგეგმება პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების სერტიფიცირება.

მეხუთე მიზნის ფარგლებში 2023 წელს შემოდის ახალი მიმართულება, ეს არის სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა. ამ მიმართულებით იგეგმება ექსპერტთა კორპუსის ფორმირება, მათი შესაძლებლობების გაძლიერება.

მეექვსე მიზნის ფარგლებში, უმაღლესი განათლების მიმართულებით, ცენტრი გეგმავს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის  პროცესის განხორციელებას. გარდა ამისა, შემუშავდება სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტის პროექტის ჩამოყალიბება და დაწესებულებების ინფორმირება. იგეგმება სადოქტორო პროგრამების ახალი სტანდარტების შეფასების პილოტირება. გარდა ამისა, განხორციელდება მედიცინის დარგობრივი მახასიათებლის პილოტირება, გააგრძელდება მუშაობა ავტორიზაციის პროცესში QMS სისტემის დანერგვის მიმართულებით. მომზადდება ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების და პროცედურების პროექტი და წარედგინება დაინტერესებულ მხარეებს. გაგრძელდება თემატური ანალიზების მომზადება. ამასთან, ცენტრი გააგრძელებს მუშაობას  Erasmus + -ის პროექტებში, PROFORMAANCE+, SQARE, ETHICS. უმაღლესი განათლების მიმართულებით, ცენტრი გააგრძელებს ექსპერტთა შესაძლებლობების გაძლიერებას. ცენტრი იმუშავებს ავტორიზაციის და აკრედიტაციის საქმიანობის და პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მიზნით პლატფორმის შექმნაზე.

მეშვიდე მიზნის ფარგლებში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, იგეგმება დაწესებულებების საბჭოს წევრების შესაძლებლობების გაძლიერება, შემუშავდება ავტორიზაციის სტანდარტების გზამკვლევი. იგეგმება ექსპერტთა კორპუსის ფორმირება და დაწესებულებებისთვის ელექტრონული თვითშეფასების ელექტრონული პლატფორმის პილოტირება. 2023

წელს თვითშეფასების პროცესის განხორციელება იგეგემება არანაკლებ 1300 დაწესებულებაში. ამასთან, შემუშავდება თვითშეფასების შედეგების მეთოდოლოგია.

კითხვა პასუხის ფორმატში, საკოორდინაციო საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა სამოქმედო გეგმის მასშტაბურობა და იკითხა ზოგადი განათლების მიმართულებით 300 სკოლის ავტორიზაციის შესახებ, არის თუ არა გაწერილი სამოქმედო გეგმა და განხორციელდება თუ არა პილოტი. აღნიშნა, რომ სტანდარტები ჩაიშალა, განსაკუთრებით ეს ეხება მეორე, კურიკულუმის სტანდარტს, ეს დიდი გამოწვევაა სკოლებისთვის. იკითხა, როგორ ხედავს ცენტრი ამ პროცესს. საპასუხოდ, ბატონმა კახაბერ ერაძემ განმარტა, რომ 300 სკოლის ავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა არის საერთაშორისიო ვალდებულება ცენტრისთვის, ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოსა და მსოფლიო ბანკს შორის. სკოლების დიაგნოსტიკური თვითშეფასების პროცესის განხორციელებისას ცენტრმა პარალელურ რეჟიმში მოახდინა იმ სკოლების იდენტიფიცირება, რომელთაც აქვთ ავტორიზაციის გასავლელად მაღალი მზაობა. მათ შორის გათვალისწინებულია ის გარემოება, სადაც  სამინისტრომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ნაწილში უკვე იმუშავა. რეალურად ეს არის 400-ზე მეტი სკოლა, რომელთაც აქვთ დანერგილი ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, გამართულია ინფრასტრუქტურულად,  მათ შორისაა ადეკვატური კომპიუტერული აღჭურვილობა. განაცხადები შემოვა მომდევნო წლის მარტიდან და სამინისტროს და ცენტრს კიდევ ექნებათ ერთი კვარტალი, რათა ამ სკოლებში მხარდაჭერის მიმართულებით სპეციალისტები მიავლინონ, რათა მათ სრულფასოვნად მოამზადონ სკოლები როგორც შინაარსობრივი თვალსაზრისით, ასევე მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით, ავტორიზაციის პროცესისთვის. რაც შეეხება დანარჩენ სკოლებს, მათთან პარალელურად გრძელდება მუშაობა, არსებობს მხარდაჭერის საკმაოდ დიდი პროგრამა, როგორც საბიუჯეტო, ასევე დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით. საჯარო სკოლების მხარდაჭერა იქნება სამინისტროსგან, კერძო სკოლების მხარდაჭერა იქნება ცენტრისგან უზრუნველყოფილი. კანონის შესაბამისად კერძო სკოლებს მოუწევთ შესაბამისობაში მოსვლა 2024 წლამდე. ახალი სტანდარტების დანერგვაში მხარდასაჭერად ჯერ კიდევ აქვს დრო ცენტრს. პროცესი გაწერილი და გეგმაზომიერია.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარემ, რუსუდან სანაძემ იკითხა ზოგადი განათლების მიმართულებით, ავტორიზაციის პროცესის წარუმატებლად გავლის შემთხვევაში რა მექანიზმით იქნება მხარდაჭერა უზრუნველყოფილი. საპასუხოდ ბატონმა კახაბერმა განმარტა, რომ კანონის თანახმად საჯარო სკოლა არ დაიხურება, თუ ის ვერ გაივლის ავტორიზაციას. მისთვის შედგება განვითარების დეტალური გეგმა, ამ ეტაპზე, კომპეტენციების შესაბამისად უკვე ერთვება მთელი სისტემა. გააჩნია რა არის შეუსაბამობა. იმ შემთხვევაში თუ დადგა საკითხი სკოლის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, სამინისტროს მოუწევს გადაწყვეტილების მიღება. ეს დამოკიდებულია ხარვეზების მასშტაბებზე. შესაბამისად, ცენტრს აქვს მექანიზმი და მოდევნო წელს იწყებს ცენტრი სკოლების ავტორიზაციას.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი და საბჭოზე დამსწრეთა აბსოლუტური უმრავლესობა დაეთანხმა წარმოდგენილი ფორმით  2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის წარდგენას დასამტკიცებლად.

**მომხრე 7**

**წინააღმდეგი 0**

დღის წესრიგის შესაბამისად, შემდეგ მომხსენებლად წარსდგა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ქალბატონი ნინო ხითარიშვილი და წარადგინა ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის პროექტი და ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი, ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის განმახორციელებელი დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პროექტი. პროექტების წარდგენამდე ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს შევიდა ცვლილება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც გარდამავალი პერიოდის განმავლობაში, რომელიც გრძელდება 2030 წლამდე ბაგა-ბაღების საკითხი დელეგირებულ იქნა ცენტრზე. კანონის მიხედვით განსაზღვრულია ვადები და აქტივობები რაც უნდა განხორციელდეს გარდამავალ პერიოდში და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტივობა გახლავთ ავტორიზაციის დროებითი წესის შემუშავება და ავტორიზაციის სტანდარტების შემუშავება. აღნიშნული აქტივობები უნდა განხორციელდეს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მთავრობის მიერ იქნეს დამტკიცებული. UNICEF-ის მხარდაჭერით ცენტრმა შეიმუშავა აღნიშნული დოკუმენტი. საჯარო განხილვის ფორმატში დოკუმენტი წარდგენილ იქნა დაწესებულებების წარმომდგენლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომდგენლებთან, ასევე ბაღების გაერთიანებებთან, სულ ჩატარდა შვიდი შეხვედრა როგორც თბილისის, ასევე საქართველოს რეგიონების მასშტაბით. მათგან მიღებული გადაწყვეტილებები ასახულია პროექტში. ამასთან დოკუმენტი განხილულ იქნა საკოორდინაციო ჯგუფის სხდომაზე. ეს ჯგუფი არის ცენტრის შიგნით მოქმედო სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს სამინისტროს, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -EMIS-ის, სხვადასხვა ასოციაციების, დარგობრივი სამინისტროების, მსოფლიო ბანკის პროექტის წარმომდგენლებს.

რაც შეეხება უშუალოდ დოკუმენტს, პირველი დოკუმენტი არის ავტორიზაციის დროებითი წესი, რომლის ფარგლებში გამოიყო პროგრამები და მათი სახეები. განისაზღვრა სამი პროგრამის  სახე, რომელიც წამოვიდა კანონის დეფინიციებიდან. პირველი არის ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ნულიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობლებისთვის და კანონიერი წარმომადგენელისთვის მიწოდებულ მომსახურებას. მეორე ეს არის სკოლამდელი აღზრდისა განათლების პროგრამა, ორი წლიდან პირველ კლასში შესვლამდე ბავშვებისთვის მიწოდებული მომსახურება და მესამე არის მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამა, რომელიც გულისხმობს ხუთი წლიდან პირველ კლასში შესვლამდე პროგრამას. აღნიშნულის გარდა დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს სხვა ენაზე პროგრამები და ბილინგვური, ან მულტილინგვური მიდგომით პროგრამები.

ავტორიზაციის დროებითმა წესმა დაწესებულებას განუსაზღვრა თვითშეფასების წარმოების ვალდებულება, რომელიც არის ყოველწლიური და მას ექნება ორი ძირითადი მიზანი, პირველი არის ის, რომ დაწესებულება აღნიშნული თვითშეფასებით ყოველწლიურად განახორციელებს საკუთარ შესაბამისობას სტანდარტებთან და მეორე, თვითშეფასება დაეხმარება მას შიდა უზრუნველყოფის მექანიზმების გამართვაში და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მართვის სისტემის ჩამოყალიბებაში.

დროებით წესში ცალკე თავად გაიწერა მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები. კანონმა განსაზღვრა, რომ ცენტრი ვალდებულია გარდამავალ პერიოდში ჩართოს მუნიციპალიტეტები და იზრუნოს მათი შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რადგან ეს პროცესები გარდამავალი პერიოდის შემდგომ გადაეცემა მუნიციპალიტეტებს. კანონი ასევე განსაზღვრავს მუნიციპალიტეტების ვალდებულებებსაც, რომ ისინი ამ პროცესებში უნდა იყვნენ ჩართულნი. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილება იქნება თვითშეფასების საავტორიზაციო განაცხადის დამოწმება, ბაღების გაერთიანებებთან ერთად. ასევე, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ვიზიტის დროს მიავლინოს წარმომადგენელი, რათა დააკვირდეს და ჩაერთოს პროცესში, საჭიროების შემთხვევაში. ავტორიზაციის საბჭოს სამდივნოსგან მუნიციპალიტეტის წარმომდგენელს გაეგზავნება მოწვევა ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე, გაეგზავნება ექსპერტების დასკვნა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, იქნება სრულად ინფორმირებული. საბჭოზე ის ასევე ისარგებლებს სათათბირო ხმის უფლებით.

დროებით წესში განისაზღვრა ავტორიზაციის საბჭოს და სააპელაციო საბჭოს უფლებამოსილება და ფუნქციები. საბჭოს წევრებს დანიშნავს პრემიერმინისტრი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით. წევრებს მოეთხოვებათ, რომ იყვნენ მიუკერძოებლები, ობიექტურები და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით მიიღონ გადაწყვეტილება. საბჭოს ვადა განისაზღვრება ორი წლის ვადით. დროებით წესში ასევე გაწერილია ავტორიზაციის საფეხურები, ექსპერტთა კორპუსის დაკომპლექტება, წარმოების სპეციალური სახეები, მონიტორინგი. ნინო ხითარიშვილმა დეტალურად წარადგინა ავტორიზაციის სქემა. აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი იქნება გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებული მხარე ჩართული იქნება. წარმოებისთვის არის განსაზღვრული 180 დღე და განაცხადის წარდგენიდან 3 დღის ვადაში ცენტრს ექნება შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში დაახარვეზოს იგი. ამ შემთხვევაში გამოსწორების ვადა განესაზღვრება დაწესებულებას, 5 -დან 15 დღემდე. ხარვეზის გამოსწორების შემდეგ დაწესებულება წარმოადგენს განაცხადს და ცენტრი დაწესებულებას ცნობს მაძიებლად. თუ განსაზღვრულ ვადაში არ იქნა წარმოდგენილი განაცხადი, აღნიშნული საქმისწარმოება შეწყდება. მას მერე რაც ცენტრი მაძიებლად ცნობს დაწესებულებას, 60 კალენდარული დღის ვადაში ექსპერტთა ჯგუფის შექმნის ბრძანება გამოიცემა, დაწესებულებას ეცნობება ბრძანების გამოცემის შესახებ. თუ მას ექნება ობიექტური დასაბუთება მას შეუძლია აიცილოს ექსპერტი. ცენტრი განიხილავს დასაბუთებას და თუ დააკმაყოფილებს, შეიტანს ექსპერტთა ჯგუფში ცვლილებას. შემდგომ ეტაპზე, ექსპერტებს ეგზავნებათ საავტორიზაციო დოკუმენტაცია. შემდგომ ხორციელდება ვიზიტის გეგმის შედგენა, რომელიც თანხმდება ცენტრთან და დაწესებულებასთან. ვიზიტის შემდგომ ხორციელდება ვიზიტის დასკვნის მომზადება. ერთ-ერთ მხარედ აქ შემოდის მუნიციპალიტეტი.

დასკვნის მომზადების შემდგომ იგი იგზავნება ცენტრში, რომელიც ამოწმებს ფორმალურ შესაბამისობას. ხარვეზების შემთხვევაში ცენტრი აბრუნებს ექპერტთა ჯგუფში გასასწორებლად. თუ ხარვეზი არა ფიქსირდება, დასკვნის პროექტი წარედგინება დაწესებულებას. მას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს დასკვნას, წარმოადგინოს არგუმენტირებული პოზიცია. დამატებითი შესაძლებლობა რაც გაჩნდა ამ ნაწილში არის ის, რომ თუ კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში დაწესებულების შეფასება არ ემთხვევა ერთმანეთს, დაწესებულებას უფლება აქვს შეცვალოს თავის პოზიცია და დამატებით დოკუმენტები გამოგზავნოს არგუმენტირებულ დასკვნასთან ერთად. დაწესებულებას აქვს 10 დღე არგუმენტირებული დასაბუთების წარმოსადგენად. საბოლოო პროექტი მიეწოდება საბჭოს, დაინიშნება სხდომა, განხილულ იქნება პირველადი საავტორიზაციო განაცხადისას შემოსული ინფორმაცია, ექსპერტთა დასკვნა და დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია. ზეპირ მოსმენაში მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია დაესწროს სხდომას და გამოიყენოს სათათბირო ხმის უფლება. საბოლოოდ ავტორიზაციის საბჭო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომელიც ძალაში შედის ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

დროებით წესში, ექსპერტთა კორპუსთან მიმართებით კი, აღსანიშნავია, რომ საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სფერო არის კომპლექსური და აერთიანებს ძალიან ბევრ მიმართულებას. მოიცავს კვების მიმართულებას, სანიტარია-ჰიგიენის მიმართულებას და კურიკულუმის მიმართულებაც განსხვავებულადაა ჩამოყალიბებული. შესაბამისად, ექსპერტთა კორპუსში იქნებიან ოთხი მიმართულების ექსპერტები, ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, რომელიც ძირითადად ორიენტირებული იქნება ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმებაზე, მეორე იქნებ კურიკულუმის ექსპერტი, რომელიც  მიმართული იქნება კურიკულუმის თემაზე და ოჯახის და თემის ჩართულობაზე, მესამე ექსპერტი იქნება კვების დარგიდან, რომელიც გააკონტროლებს თუ რამდენად შეესაბამება კვების რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს დაწესებულება. მეოთხე იქნება სანიტარია-ჰიგიენის ექსპერტი, რომელიც ამოწმებს სანიტარია-ჰიგიენის რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს.

სხვა პროცესებისგან განსხვავებით ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებებში არის სიახლე და ეს არის ავტორიზაციის შეჩერება. დაწესებულების გარე ხარისხის შემფასებლები, გარდა ცენტრისა არიან სურსათი ეროვნულის სააგენტო, კვების ნაწილში. თუ შეუჩერდათ დაწესებულებებს საწარმოო პროცესი, ანუ, თუ დაულუქეს სამზარეულო, ასეთ შემთხვევაში სააგენტო აცნობებს ცენტრს და თავის მხრივ ცენტრი შეუჩერებს ავტორიზაციას იმ დრომდე, სანამ ხარვეზი არ იქნება გამოსწორებული, რაზეც ისევ სააგენტოსგან უნდა მიიღოს მიმართვა ცენტრმა.

მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც ერთვება პროცესში არის საგანგებო სიტუაციების სამსახური, რომელიც  სახანძრო უსაფრთხოების ნაწილში ამოწმებს დაწესებულებას. თუ მათი მხრიდანაც მოხდა ხარვეზის დაფიქსირება და შეჩერება, ცენტრი უჩერებს დაწესებულებას ავტორიზაციას.

მესამე არის მონიტორინგის შედეგები, რომელიც შეიძლება გახდეს საფუძველი ავტორიზაციის შეჩერების. ავტორიზაცია შეჩერდება, თუ აღმოჩნდება, რომ დაწესებულება არ არის შესაბამისი ერთ რომელიმე სტანდარტთან მაინც, მაგრამ აქვს რესურსი და შეუსაბამობის აღმოფხვრის სამთვიანი გეგმა. დაინიშნება მონიტორინგი, რომელიც დაადგენს აღმოფხვრილია თუ არა შეუსაბამობა, თუ აღმოფხვრილია, დაწესებულება გააგრძელებს მუშაობას და თუ არაა, მაშინ ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია შეუწყვიტოს ავტორიზაცია.

მონიტორინგის ორი სახე გამოიყოფა, გეგმიური და არაგეგმიური. გეგმიურ მონიტორინგს განსაზღვრავს ცენტრი. დაწესებულებას წერილობით ეგზავნება ინფორმაცია, ასევე, საბჭო უფლებამოსილია მიმართოს ცენტრს გეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით, არაგეგმიური მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს ცენტრის ან საბჭოს ინიციატივით, 10 მშობლის/კანონიერი წარმომდგენლის საჩივრის საფუძველზე, ან სხვა პირის ცენტრში მომართვის შემთხვევაში, რომელსაც ცენტრი განიხილავს და ექნება შესაბამისი რეაგირება. მონიტორინგის ფორმები შესაძლებელია განხორციელდეს დაწესებულებიდან დოკუმენტაციის ან ანგარიშის გამოთხოვის ფორმით, შესაძლებელია შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი, ან შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფი და განხორციელდეს ვიზიტი.

ავტორიზაციის სტანდარტი ჩამოყალიბდა ოთხი ძირითად მიმართულებით. კანონი ადგენს ხუთ ძირითად პირობას. პირველი პირობა არის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დაკმაყოფილება. აღნიშნული საკითხი გაიშალა კურიკულუმის სტანდარტში და ოჯახის და თემის ჩართულობის სტანდარტში. მეორე მოთხოვნა, კანონის მიხედვით არის შენობის ინფრასტრუქტურის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობა. აღნიშნული რეგლამენტი არ არის დამტკიცებული, ამიტომ ავტორიზაციის დროებით წესთან ერთად მომზადდა მცირედი აღწერილობა და მინიმალური მოთხოვნები. მესამე მოთხოვნა, რომელსაც კანონი ითხოვს არის კვებითი რეგლამენტის დაკმაყოფილება, რომელსაც შეაფასებს „კვების ორგანიზება და შეფასების კომპონენტი“ კანონის მიხედვით, მეოთხე პირობა არის სანიტარია-ჰიგიენის ნორმების შემოწმება და ესეც დაიფარა მეოთხე სტანდარტში. მეხუთე არის პერსონალის კვალიფიკაცია, რომელიც პერსონალის მართვასა და განვითარების ნაწილში დაიფარა. ამ შემთხვევაში აღმზრდელ პედაგოგის კვალიფიკაცია შეფასდება მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სხვა პერსონალის შეფასება მოხდება მუნიციპალიტეტების მიერ განსაზღვრული მოთხოვნებით. გ. შემოტანილია მისიის და სტრატეგიული განვითარების სტანდარტი, რადგან დაწესებულება არის ინსტიტუცია. ცენტრის მიდგომაა, რომ თუ დაწესებულება როგორც ინსტიტუცია არ იქნა მდგრად, ის ვერ იქნება წარმატებული მის ძირითად საქმიანობაში.

თავად ავტორიზაციის პროცესი და შეფასება იქნება დიფერენცირებულ სქემაზე დაყრდნობილი-*დაწესებულება შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, მეტწილად შესაბამისია, ნაწილობრივ შესაბამისობაშია, არ არის შესაბამისი.* განსაზღვრულია ვადებიც და პირობებიც. დაწესებულება შესაბამისია მოთხოვნებთან თუ სრულად აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს. დაწესებულება მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან თუ მცირედი უზუსტობები აქვს, იდენტიფიცირებული აქვს ეს უზუსტობები და აქვს მზაობა და გეგმა გამოასწოროს აღნიშნული არაუმეტეს 12 თვეში. თუ დაწესებულებას აქვს უფრო მეტი სუსტი მხარეები ვიდრე

ძლიერი, იდენტიფიცირებული აქვს ხარვეზები, აქვს მზაობა და გეგმა არაუმეტეს 24 თვეში გამოასწოროს ხარვეზები, არის ნაწილობრივ შესაბამისობაში. თუ დაწესებულებას არ აქვს იდენტიფიცირებული სუსტი მხარეები, ან არ აქვს გეგმა, ან რესურსები მათი აღმოფხვრისთვის, იქნება შეუსაბამო.

კითხვა-პასუხის ფორმატში, საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ იკითხა, ექსპერტთა კორპუსის დაკომპლექტებაში მხოლოდ ცენტრი მიიღებს მონაწილეობას თუ ჩართულნი იქნებიან სხვა მხარეებიც. პასუხად, ნინო ხითარიშვილმა განმარტა, რომ ამ ეტაპზე ცენტრი მოახდენს ოთხივე მიმართულებით ექსპერტთა შერჩევას. საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე მუშაობა მიმდინარეობს, ამ ნაწილში ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად ცენტრს ეხმარება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. გარდა ამისა, ცენტრი მუშაობს შეფასების ინსტრუმენტზე, რომელიც დაეყრდნობა მოქმედო რეგლამენტების კვების და სანიტარია-ჰიგიენის სფეროში და გამოკვეთს იმ საკითხებს რა საკითხების შემოწმებასაც მოახდენენ ექსპერტები. ამ ნაწილში ჯანდაცვის ექსპერტებიც არიან ჩართულნი.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი და საბჭო დაეთანხმა წარმოდგენილი ფორმით პროექტებს.

**მომხრე 7**

**წინააღმდეგი 0**

ნიკა ფარჯანაძემ წარადგინა უმაღლესი განათლების მიმართულებით 2022 წელს განხორციელებული ცვლილებების შესახებ პრეზენტაცია და აღნიშნა, რომ ცენტრმა 2022 წელს ბევრი მნიშვნელოვანი ცვლილება გაიარა და მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კლასტერული აკრედიტაცია. აქედან გამომდინარე, ავტორიზაციის დებულებაში ლოგიკური ცვლილება შევიდა და აღნიშნა, რომ მისი პრეზენტაცია ამ თემას ეხებოდა. მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების და საფასურის შესახებ ბრძანება არეგულირებს ავტორიზაციის პროცესს და კანონმდებლობის დონეზე მომზადდა გარკვეული ცვლილებები, ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებაა განათლების ხარისხის განვითარების შესახებ კანონში შესული ცვლილება, ასევე ცვლილებაა უმაღლესი განათლების შესახებ კანონში და აქედან გამომდინარე აუცილებელი გახდა ცვლილება შევიდეს ავტორიზაციის კანონში. მან ისაუბრა იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომლებსაც ინიციატივის სახით აყენებენ. ნიკა ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ პირველ რიგში ცვლილება შევიდა ავტორიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების ვადასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ეს ნორმა თავსებადია და იგივე რუკაა გამოყენებული, რაც აკრედიტაციის შემთხვევაში. გადაწყვეტილება უნდა დადგეს ცენტრში დოკუმენტაციის წარდგენიდან 180 კალენდარული დღის ვადაში, ანალოგიური ლოგიკაა კლასტერული აკრედიტაციის შემთხვევაშიც. მან აღნიშნა, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სთავაზობენ ონლაინ კონსულტაციებს, ყოველგვარი საფასურის გარეშე, რათა ისინი ჯეროვნად მოემზადონ ავტორიზაციის პროცესისთვის. მან ასევე ისაუბრა ავტორიზაციის საფასურში შესულ ცვლილებაზე და აღნიშნა, რომ გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენიდან 60 კალენდარული დღის ვადაში აუცილებელია, რომ ცენტრმა გამოსცეს

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და უნდა შეიქმნას ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იმისთვის, რომ დაწესებულებამ მიიღოს მაძიებლის სტატუსი. მან აღნიშნა რომ ამ შემთხვევაში კონკრეტული ვადების დაზუსტება ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე ისაუბრა ჰიბრიდულ ფორმატზე და აღნიშნა, რომ ეს ფორმატი საშუალებას მისცემთ საბჭოს წევრებს შესთავაზონ უფრო მოქნილი ფორმატი. ის ასევე შეეხო საბჭოს მუშაობაში დამატებითი ექსპერტების ჩართვას და მაგალითად მოიყვანა აკრედიტაციის საბჭოს შემთხვევა. მან განიხილა წინარე შემთხვევები, როცა ჩართული ექსპერტების სამუშაო ანაზღაურება არ ხდებოდა და აღნიშნა, რომ ცენტრი საკუთარი ხარჯებით დაფარავს აღნიშნული ექსპერტების მომსახურების საფასურს. მან ერთი საკითხის მნიშვნელოვნებას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის მიღებიდან 6 თვის ვადაში, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ ცენტრში უნდა წარმოადგინოს განაცხადი და ავტორიზაციის განაცხადში აკრედიტაციის მიზნით მითითებული უნდა იყოს მინიმუმ ერთი საგანმანათლებლო პროგრამა. მან ასევე ისაუბრა რეორგანიზაციის საკითხზე და აღნიშნა, რომ აქამდე შესაძლებელი იყო რეორგანიზაციის მიზნით რამოდენიმეჯერ ავტორიზაციის პერიოდის გახანგრძლივება, ამ შემთხვევაში ინიციატივა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეორგანიზაციის მიზნით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მხოლოდ ერთხელ შეძლოს ავტორიზაციის პროცესის გახანგრძლივება. მან ასევე განიხილა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია და ყურადღება გაამახვილა ცენტრის საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასა და მათ მნიშვნელოვნებაზე, აღნიშნა რომ ცენტრს ამ მიმართულებით დაუგროვდა ცოდნა და გამოცდილება, რათა დაიწყოს პროგრამებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საერთაშორისო შეფასება და მნიშვნელოვანია ავტორიზაციის დებულებაშიც აისახოს ცვლილებები, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ცენტრი ჩაერთოს საერთაშორისო შეფასებაში.

საბჭოს წევრმა ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაცია, იმდენად ამომწურავი ფორმაა თვითშეფასების ნაწილში, მიუხედავად ბევრი პროგრამისა, იმდენად დეტალურია და გასაგები, რომ ამ მიმართულებით გაცილებით ნაკლები დრო ეხარჯებათ ექსპერტებს.

ცენტრის დირექტორის მოადგილემ, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ნიკა ფარჯანაძემ დეტალურად წარმოადგინა ყველა ძირითადი საკითხი, ავტორიზაციის დებულებაში შესული ცვლილებების შესახებ, ხარისხის კანონში შესული ცვლილებების საფუძველზე. მან აღნიშნა, რომ 2023 წლისთვის იგეგმება ავტორიზაციის სტანდარტების გაანალიზება. ასევე, აღნიშნა, რომ 2023 წელს არც ერთ დაწესებულებას არ უწევს ავტორიზაციის გავლა, 2024 წელს კი 27 დაწესებულებას უწევს ეს პროცესი და სასურველია 2023 წლის პირველი ნახევარი ცვლილებებისთვის გამოიყენოს ცენტრმა.

საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი და საბჭომ თანხმობა მისცე საკითხს.

**მომხრე 7**

**წინააღმდეგი 0**

დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ წარადგინა პრეზენტაცია ცენტრის მთავარი ფინანსური პარამეტრების, საშტატო და საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ცენტრს აქვს ორი ტიპის შემოსავალი, საბიუჯეტო და საკუთარი სახსრები. როგორც მან აღნიშნა, საშტატო ერთეულის გაზრდა არაა დაგეგმილი 2023 წლისთვის, დაგეგმილია საჭიროების შემთხვევაში შტატგარეშე თანამშრომლების ზრდა, ასევე იგეგმება შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდა საშტატო ერთეულებისთვის. ისაუბრა ბიუჯეტიდან მოთხოვნილ თანხებზე და მათ განაწილებაზე. ამ მიმართულებით, მან ასევე ისაუბრა ბაღების ავტორიზაციის საკითხზეც და აღნიშნა, რომ კანონში ჩაწერილია, რომ ეს პროცესი უფასოა და შესაბამისად, აქაც იქნება საბიუჯეტო ასიგნება, აქედან გამომდინარე, მომავალ წელს იქნება სამი ძირითადი მიმართულებების ასიგნება, ესენია: ბაღების მიმართულება, სკოლების და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ქვეყანამ პრიორიტეტად აიღო სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების განხორციელება, ეს იქნება მთლიანად ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პროგრამები, მაგრამ ამის უკან უნდა იდგეს ხარისხის უზრუნველყოფა. მან ასევე მიმოიხილა ცენტრის შემოსავლები და ბიუჯეტი და 2 წლის დინამიკაში განიხილა ცენტრის საკუთარი შემოსავლები, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება და აღნიშნა, რომ ძირითადი წილი მოდის საკუთარ შემოსავლებზე და თქვა, რომ ეს ძალიან შთამბეჭდავი ციფრია.

საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი და საბჭომ მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკითხს.

**მომხრე 7**

**წინააღმდეგი 0**

**საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე:** **საკოორდინაციო საბჭოს სხდომის მდივანი**

**რუსუდან სანაძე** **მაკა აბულაძე**

დანართი 1

| |
|---|
| **საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საბჭოს შემდეგი წევრები:** |
| ა) **რუსუდან სანაძე** -საკოორდინაციო საბჭოს თავჯდომარე; |
| ბ) **კაი ეტზოლდი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| გ) **შალვა მეკრავიშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| დ) **მაკა აბულაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; სხდომის მდივანი |
| ე) **ირმა ქურდაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| ვ) **თეა გულუა** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| ზ) **ნათია ჯოჯუა** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| **საკოორდინაციო საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ:** |
| ა) **ჰელი მატისენი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| ბ) **ანასტასია ქიტიაშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| გ) **მაია შუხოშვილი** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| დ) **ზაზა ფურცელაძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |
| ე) **კახაბერ ჭელიძე** - -საკოორდინაციო საბჭოს წევრი; |

## დანართი 2 საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი:

| დრო | განსახილველი საკითხი | მომხსენებელი | პოზიცია, ორგანიზაცია |
|---|---|---|---|
| **15:00 – 15:05** | მისალმება | თამარ მახარაშვილი<br><br>კახაბერ ერაძე | დირექტორი, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი<br><br>დირექტორის მოადგილე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **15:05 – 15:35** | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021 – 2025 წლების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის პროექტის განხილვა | ლაშა ზივზივაძე | დაგეგმვის კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **15:35 – 15:50** | კითხვა - პასუხი | | |
| **15:50 – 16:10** | ადრეული აღზრდისა და განათლების/ან და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის პროექტის განხილვა;<br>ადრეული აღზრდისა და განათლების/ან და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების პროექტის განხილვა | ნინო ხითარიშვილი | ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **16:10 – 16:25** | კითხვა - პასუხი | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| **16:25 – 16:40** | ავტორიზაციის დებულებაში შესატანი ცვლილებებისთვის მომზადებული პროექტი, რომელიც უკავშირდება „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონში და აკრედიტაციის დებულებაში 2022 წელს განხორციელებულ ცვლილებებს | ნიკოლოზ ფარჯანაძე | უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **16:40 – 16:50** | კითხვა - პასუხი | | |
| **16:50 – 16:55** | განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის საშტატო განრიგისა და ბიუჯეტის პროექტის წარდგენა | კახაბერ ერაძე | დირექტორის მოადგილე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი |
| **16:55 – 17:00** | კითხვა - პასუხი | | |
| **17:00 – 17:05** | სამუშაო შეხვედრის შეჯამება | | |